

მწყემსი



მე ვარ მწყემსი კეთილი: მწყემსმან კეთილმან სული თვისი დასდგის ცხოვართათვის. იოან. 10—11.
 მკვებ ცხოვარი ჩემი წაწყმედელი, მსრეთ იყოს სიზარულს, ცათა შინა, ერთისათვის ცოდვილისა. ლუკ. 15—4.
 მოვედით ჩემდა ყოველნი მაშურალნი და ტვირთ-მიძიმენი და მე განგისვენეთ თქვენ. მათ. 11 28.

№ 9

1883—1898

15 მაისი.

გ ა ჯ ე თ ი ს უ ა ს ი :

„მწყემსი“	„მწყემსი“ რუსული გამოცემით
12 თვეთი 3 მან.	12 თვეთი 5 მან.
6 — 2 —	6 — 3 —

შულისა და წერილების გაგზავნა შეიძლება ამ ადრესით:
Въ Квинуи, въ редакцію „Мисемистъ“ и „Пастыръ“.

შველა სტატიები და კორექსიონები, რომელნიც იქმნებიან დასაბეჭდავთ გამოგზავნილნი, ვრცლად და გასაგებად უნდა იყვნენ ავტორთაგან ხელ-მოწერილნი.

სტატია, რომელიც არ დაიბეჭდება, სამი თვისი განმავლობაში შეიძლება ავტორებს მათის ბარჯით უკანვე დაუბრუნდეს სტატიები მიიღებიან რუსულს ენაზე დაწერილნიც და თარგმნით დაიბეჭდებიან.

მღვდლის სამსახურის სპანელი წმ. იოანე ოქროპარის სიტყვით

დასასრული *

მღვდლობაში წმ. ოქროპარის სიტყვით იხატება სიყვარული ქრისტესადმი. მკვდრებით აღდგომის შემდეგ როცა მაცხოვარი გამოეცხადა ერთხელ მოციქულებს, სამ გზის ჰკითხა წმ. მოციქულს პეტრეს:

„გიყვარ მეა?“ (იოან. 21, 15) და ამის შემდეგ ქრისტემ ჩააბარა მოციქულს მორწმუნენი და რქვა: „აიოვენ კრავნი ჩემნი“ (იოან. 21, 16). ვისაც უყვარს ქრისტე, მან არ შეიძლება არ შეიყვაროს ისინიც, რომელთათვისაც იესო ქრისტემ დაითმინა ტანჯვა და გნება, რომელთათვისაც მან დაანთხია სისხლი თვისი. მაშასადამე, სიყვარული არის პირველი და აუცილებელი თვისება მწყემსისა, ნიშანი ქრისტეს მოწაფეთა. „ამით სენან ყოველთა, ვითარმედ ჩემნი მოწაფენი ხართ, უკეთუ იყვარებოდეთ ურთიერთ არს“ (იოან. 13 35) უთხრა გამოთხოვე-



ბის დროს მოწოდებთ თვისთა მაცხოვარმა; მას არ მიუთითებია მოწოდებთათვის არც თვის მრავალ სასწაულზე, რომლითაც საესეა მოციქულთა ისტორია, არც ის მოუხსენებია, რომ მათი ერთი სიტყვა, მათი შეხება და ჩრდილა განკურნებს ავადმყოფთა, — მაცხოვარმა მხოლოდ მოაგონა მოწოდებებს სიყვარული. აი რა ძალა აქვს სიყვარულს! ამბობს წმ. ოქროპირი. თვის მეგობარს ბასილში წმ. ოქროპირი პირველად ამ დიდ ღირსებას ჰპოებს, რომლის წყალობით მას შეეძლო ღირსეულად აღესრულებია მღვდლობა და აქვე თვისი სიტყვების დასამტკიცებლად იგი თავის მეგობრის ყურადღებას აქცევს ერთ ფაქტს მათი წარსული ცხოვრებიდან და მოჰყავს იმ დროს ბასილისაგან ნათქვამი სიტყვები: „ისე რას მიქვია სიყვარული, თუ ჩემ სულსაც არ გავიმეტებ, როცა ეს საჭიროა ჩემი მოყვასის დახსნისათვის?“ აი მაგალითი ქრისტეს ეკლესიის თითოეული მწყემსისათვის, — აი, ასე ვთქვათ, ის საზომა, რომლის შემწეობით ყველას შეუძლია გაიგოს თავისი ძალღონე და, ნიკი მღვდლობისადმი. თუ ეს ღვათებრივი ნაპერწკალი კია კაცში, თუ მისი გული საესეა ნებურვალე სიყვარულით მოყვასისადმი, მხოლოდ ამ შემთხვევაში შეუძლია კაცმა მიიღოს თავის თავზე მღვდლობა; ასეთი მღვდლობა ნაყოფიერი იქნება საწესკისათვის; თუ კაცის გულში არ არის ეს წმიდა ცუცხლი, თუ ამის ნაცვლად კაცის გულში მეფობს გულ-გრილობა, მაშინ უკეთესია ხელი არ მოკიდო მღვდლობას, რადგან რაც უნდა დიდი ნიჭიერი იყოს კაცი, თუ იგი მოკლებულია სიყვარულს ღვთისა და მოყვასისადმი, იგი არა რაი არს. კეშმარიტი სიყვარულის მექონე კაცი მზად არის თავისი თავი შესწიროს მოყვასთათვის. „ვინ უძლურ არს, და მე არა უძლურ ვიყვი?“ ამბობს მოციქული პავლე, „ვინ დაბრკოლებიან, და მე არა ვხსურებელი?“ (2 კორინთ. 11, 30). «აი სწორეთ ასეთი უნდა იყოს მღვდელი», დასძენს წმ. ოქროპირი. სიყვარულზე დამკვიდრებულ არს სჯული და წინასწარმეტყველნი, იტყვის მაცხოვარი, ხლოა მოციქული ამბობს, «აღმსრულებელი სჯულისა არს სიყვარული» (რომაელ. 13, 10), ასე რომ, თუ მღვდელს სიყვარული აქვს, სხვა ყოველივერს შეიძენს. ამასთან წმ. ოქროპირი ბევრ სხვა თვისებაზედაც უჩვენებს, მაგალ. მღვდელს არ უნდა უყვარდეს სმა, იგი უნდა იყოს გამჭირაზე, მღვდელს ამის თვალი უნდა ჰქონდეს, ვინაიდან იგი ცხოვ-

რებს არა მარტო თავისათვის, არამედ მრავალსა და თავის; მღვდელი უნდა იყოს უნაგარო, მომფერე, თავოსანი, მაგრამ ყველაზე მომეტებულად მღვდელს უნდა ძულდეს დიდება, უნდა სძლიოს გულ მოსულობას და აღსაესე უნდა იყოს კეთილ განიერებით. წნეობითი მხრით ეკლესიის მწყემსი უნდა იყოს იღვე, რომ იგი, თითქო, ანგლოს-სა შორის ისე წვდეს ცათა შინა; მას უნდა ჰქონდეს წმიდა სული, მისი სხივებზედაც უუწმიდესი; უნდა იქნეს ქველის მომქმედი.

მაგრამ ძნელი ის არის, რომ მღვდელი, რომელიც ცხოვრებს ქვეყანაზე, ამ წნეობითი სინამღლეზე დაღვეს. ეს ისეთივე საძნელაა, როგორც კვამლში გაჩერება, რომ კვამლი არ შეინსუთქო. მწყემსი ცხოვრებს ამაო წუთი სოფლის მოთხოვნილებათა შორის, მას მუდამ საქმე აქვს ხალხთან, მან უნდა ინახულოს ისინი, გამოიკლიოს მათი საჭიროება, ერთი სიტყვით სამწყსოთა საჭიროება უნდა შეადგენდეს მოძღვრის საკუთარს საჭიროებას. მხოლოდ ის არის ქრისტეს ეკლესიის მწყემსი, რომელიც მუდამ ღვთის წინაშე დაღის, რომელსაც მუდამ წინ უძღვდეს ქრისტეს წმიდა და ნათელი სახე, მხოლოდ ის არის მწყემსი, ვისაც აქვს სარწმუნოება ღვთისა, სიყვარული მოყვასთა, ცხადთა აქვს შეგნებული სიწმიდე, სიძნელე და პასუხის მგებლობა მღვდლობის სამსახურისა, — მხოლოდ ის მწყემსი შესძლებს წინ აღუდგეს მრავალ განსაცდელთა, რომელთა შორის ის ცხოვრებს და მოქმედებს. შეუძლია ყველგან მოჰფინოს ნათელი და ცხოვრება, სინახული და ნუგეში და თვითონ კი უვნებელი დარჩეს. წმ. ოქროპირის მღვდლობის სამსახური უფრო საძნელად მიჩნია ბერ-მონაზვნობაზე. განდევნილი, რომელიც ცხოვრებს უდაბნოში, ვერ ხვდება იმდენ განსაცდელს, რაც ხვდება ეკლესიის მწყემსს, რომელიც ვალდებულია ებრძოდეს ამ განსაცდელთ. მღვდლის სულს აშფოთებენ ტალღნი, უძლიერენი იმაზე, რომელნიც ხვდება ხოლმე ზღვაზე. შემდეგ წმ. ოქროპირი ასახელებს იმ განსაცდელთ, რომელნიც ყოველ დღე წინ ხვდება იმ მწყემსთ, როგორც მაგალითად: სიფიცხე, მოწყენილობა, შური, განუთქილება, ცილის წამება, განსჯა, სიცრუე, პირფერობა. განსაკუთრებით ეს წმ. მამა აფთხილებს მწყემსთ მთავრობის მოყვარებისა და პატივის მოყვარებისაგან. ყველა ამავეთათვის საჭიროა, რომ მღვდელმა თავისი სული ისე განამტკი-

ოს, რომ არც ერთმა ზემოხსენებულმა განსაცდელმა ვერ დაიმონოს იგი. მაგრამ რამდენი ცდა და შრომა საჭიროა, რომ კაცმა სლიოს თავისას და სხვების ბიუჯეტით?

მღვდელობის სამსახურის ერთ აუცილებელ მოვალეობას შეადგენს ქადაგება. მღვდელმა უნდა გაასწოროს სხვების გაუნათლებლობა, ამბობს წმ. ოქროპირი. სხვა ნაირად ან კი როგორ უნდა მოიტყოს კაცა, განა არ ვიცით, რომ მწყემსთა და სამწყსოთა შორის ისეთივე გარჩევა უნდა იყოს, როგორც არის კაცთა და ცხოველთა შორის; ვინაიდან მღვდელი მალა სდგას სამწყსოზე, ამიტომ იგი ვალდებულია ასწავლოს სამწყსოს: შეიტანეთ მოკიდებული სანთელი ბნელ ოთახში, იგი თავისი სხივებით განათებს ოთახს. რომ მღვდელი მუდამ ნათელი იქნეს მის გარეშე მდგომარე მდაბნო ხალხისათვის, მან ბეგრი უნდა იმეკადინოს თავის განათლებას, ის ვალდებულია, ყოველთვის გამჭირაზედ უტყუროდეს თავის თავს, თავის ზნეობრივ და გონებით განვითარებას; თუ კი ესეები მიატოვა მღვდელმა, იგი იწყებს უკან სვლას, იგი დაეცემა ზნეობითად და ყოველივე ცოდნა, რომელიც დიდის წვალებით შეიძინა, გამოუა თავიდან და მალე უბრალო კაცს დადგებება. ის მწყემსი კი, რომელიც აღტურვილია მჭკრ-მეტყველობით, ვალდებულია იმეკადინოს, რომ უფრო ძლიერი იქნეს მისი სიტყვა და დარიგება. განათლებული ხალხი უფრო ბეგის უნდა ცდილობდეს, ვინემ უსწავლენრი. უმთავრეს საშუალებას, რომლითაც სულიერ მწყემს შეუძლია განათლება მოჰვიწიოს თავის სამწყსოში, შეადგენს ქადაგება, «სწავლება სიტყვის საშუალებით». განსაკუთრებით მღვდელს უნდა აქენდეს სიტყვის ნიჭი; სიტყვა მღვდლის ხელში არის მჭრელი იარაღი. ვთქვათ მწყემს სკირდება, რომ მწყსარე კაცის სული დაამშვიდოს. ან გაბრაზებული კაცი დაამშვიდოს, ან საჭირო შეიქნა სარწმუნოებისა და ეკლესიის დაცვა, საჭიროა მხილება ქრისტეს მტერთა. ყველა ამ შემთხვევებში საჭიროა მოსწავლელი სიტყვა. «სწავლება სიტყვის საშუალებით» არის იარაღიც, საზრდელ და კეთილ შეზავებული ჰაერი; სიტყვით სწავლება არის წამლისა და რკინის სამაგვგრო. ვთქვათ საჭირო ხდება, რომ ვისმეს რაიმე შენიშვნა მისცე, ამისათვის საჭიროა სიტყვა. თუ სიტყვა არ მოქმედებს კაცზე, მაშინ ყოველი საშუალება ფუჭია, სიტყვით შეგვიძინ

ლია სწორ გზაზე დაეაყნოთ შემედარი და გავასწოროთ ამაყი. ვისაც სიტყვის ნიჭი არა აქვს, ის რაგინად ვერ დამწყსის მისდამი რწმუნებულ სამწყსოს. ამიტომ მწყემსი ყოველივე ღონეს უნდა ხმარობდეს, რომ რიგინ სიტყვა-პასუხს მიეჩვიოს. ქრისტეს სიტყვის გულ-მოღვინე მქადაგებლის მაგალითს წარმოავიდგენს წმ. მოციქული პავლე; აი რას ეუბნება ეს მოციქული ეფესოს მწყემსთა: «სამა წესობა ღამით და დღით არა დაესცხრებოდი ცრემლით სწავლასა კაცად-კაცადისა თქვენისასა» (საქ. მოციქ. 20, 31). რომ უფრო ცხადთ აღნიშნოს საჭიროება სიტყვისა მწყემსთათვის, წმ. ოქროპირი ჩვენ ყურადღებას მიატყვის მასზე, რომ თვით დიდი მოციქული პავლე საჭიროებად სიტყვას, თუმც მასში ბრწყინავდა მოციქულბრივი ცხოვრება.

ღიბს, მაღალი და ვმდა მწყემსის სამსახური ქრისტეს ეკლესიაში, დიდი და საღრმთოა ის უფლებანი და მოვალეობანი, რომელიც მაცხოვრისაგან მინიჭებული აქვს ამ სამსახურს, დაუფასებელია ის საჩივრებლობა, რომლის მოტანა შეუძლია ქვეშაირ მწყემსს, აგრეთვე დღია პასუხის გებაც მწყემსის მხრით, საშინელია ღვთის მსჯავრი, ვინც რიგინად არ ასარწმუნეს მღვდელობას. თუ კი მაცხოვარი ამბობდა: «რომელმან დაბარკოლოს ერთი მკრეთა ამთგანი, ჩემდა მოპარა მორწმუნეთა, უმჯობეს არს მისა, დამოთუკიდოს წისქვილი ვირით საფქველი ქედსა და დანთქას იგი უფსკრულსა ზღვისასა» (მათ. 18, 6), მაშ რა სასჯელი უნდა ელოდეს ეკლესიის ცულ მწყემს, რომელიც თავისი დაუდევრობით, სიზარმაცით და უიქობით აბრკოლებს არა ერთ მორწმუნეს, არამედ მთელს სამწყსოს, მორწმუნეთა მთელ საზოგადოებას. ათასი თვლია მიქცეული მწყემსზე, ყველა მისგან ელის დარიგებას, ყველა დაიხედებულია, რომ მწყემსისაგან მიიღებენ პასუხს ყველა იმ კითხვებზე, რომელნიც მათ აწუხებენ, მღვდლისაგან ელიან იმ კითხვის განმარტებას, თუ რა არის მიზანი ჩვენი ქვეყნიური ცხოვრებისა და გაბედულად წაიყვანს ყველას ამ მიზნისაკენ და თავისი ცხოვრების მაგალითებით და თავისი სიტყვით გააფრთხილებს და ანუგეშებს სუსტთა. ვის შეუძლია აზრათაც წარმოიდგინოს ის დიდი ენება, რომლის მოტანა შეუძლია ყოველ კაცს, რომელიც მოუშადადებულად მოკიდებს ხელს მღვდელობას?! მორწმუნენი, რომელნიც ჩაბარებული პაყს უფარვის მწყემსს, დილუებანი და



ეს მოეკითხება უგზურ მწყემსს. ვისაც ბევრი აბარია, იმას ბევრიც მოეკითხება; მწყემსს ბევრი აქვს ჩაბარებული, იმას მინდობილი აქვს აუხოვნოს სულნი მორწმუნეთა, და პასუხის გებაც ღიღი აწევს მას კისერზე. მწყემსი პასუხს აგებს როგორც მორწმუნეთა დაღუპვისათვის, ისე იმისთვისაც, რომ შეურაცჱყო ღმერთი, რომელმაც ღირს ჰყო იგი ღიღი პატრიოსს.

წმ. იოანე ოქროპირის ღიღი თხზულებას, ექვს სიტყვას «მღვდელთაზე» ღღემღისაც არ დაუარგავს მნიშვნელობა და უმძველია, რომ ეს სიტყვები არასოდეს არ დაკარგავენ ამ მნიშვნელობას, ვინაიდან ეს სიტყვები გვასწავლიან, რომ მღვდლობა არის ღიღი ღირსება, ძნელი მოვალეობა, არა ყველასათვის ხელ მოსაკდებელი და მისაღობი, და გვიჩვენებენ, თუ როგორ უნდა ავასრულოთ ეს მოვალეობა უნაკლოდ, რის საუკეთესო მაგალითია თვით ქრისტე, რომელმაც თავის ცხოვრებით და მოქმედებით დაგვიბატა მაღალი იდეალი მწყემსის სამსახურისა. ეს თხზულება წმ. იოანესი ყოველთვის გზის მაჩვენებელი იქნება მწყემსთათვის მათ მრავალ საძნერლო ცხოვრებაში.

დღეოსისამ. ზევირგადმოცემა ვაჟუნების რაგაში ხალხში უკვე მომხადებუფი იყო ნადაგი ქრისტიანობი; გასავრცელეულად სამი მოგვისაგან, რომელნიც დ ბუნდენ რა ბეთლემიდან თავიანთ სამამბლო ქვეყანაში, იწუეს ქადაგება, რომ დაბადა მაცხოვარი ქვეყნისა. წმიდა მარამ, რომელმაც სიროქადღვეფილთში გაავრცელა ქრისტიანობა, დაარსა მათში საეპისკოპოსოსა გათედრა და თვითონ იყო პირველი ეპისკოპოსი სელევკო-სტეფიზოფონში, რომელიც ძველი ქადაგი იყო ტიგორის ნაპირზე. ეს ქადაგი იყო სატახტო ქადაგი სპარსეთის სამეფოში. რადგან ანტიოქიადან ქრისტიანობა თანდათან ვრცელდებოდა ადამისავლეთ-საყენ, ქრისტიანებმა, რომელნიც ცხოვრებდენ სპარსეთის სამხედვარზე, თავიანთ თავს უწოდეს „ადმოსავლეთის ეკლესიისა“. ამ ეკლესიის ეპისკოპოსები თავდაპირველად ეპორჩ-ღებოდენ ანტიოქის პატრიარქს, რომელისაგან იღებდენ განათლებასაც, მაგრამ შემდეგ, ადმოსავლეთის ეკლესიას შეიქმნა დმო-სკიადებელი, ხოლო ამ ეკლესიის მიტროპოლიტმა მიიღო ღირსება და წოდება ქათალიკოსისა, 343 წელს ამ ეკლესიამ სახელი გაიოქვა 16 ათასი მოწამით.

ვინ და რა ატლხარების არიან აისორები?

აისორები ანუ, როგორც ისინი თავიანთ თავს უწოდებენ, სიროქადღვეფილი სცხოვრებუნ ქურდანიტანის მეთეში და აზერბაიჯანის ვაგე ადგილებში სპარსეთის და სათათრეთის სამხედვრების ორივე მხრით. ეს აისორები ამტკიცებენ, რომ იგინი სიმის მეორე შვილის ასსერის შთამომავლობანი არიან. აქედან არის წარმომდგარი მათი ს ხელწოდებაც: «ასსირიელი», „აისორები“, «ასურისტანები», ქრისტიანობის გავრცელების პირველ დროსვე აისორებში მტკიცდება სარწმუნეობა ქრისტეს; ქრისტიანობა გავრცელდა მათში, როგორც ზევირგადმოცემით ვიცით, წმ. თამა მოცქუელის მოწაფემ წმიდა ადელიმ ანუ თადდეიმ, რომელიც იყო ერთი 70 მოციქულთაგანი, და წმ. მარამ, მოწაფემ წმ. თად-

მაგრამ ამ ადმოსავლეთს ეკლესიას დადხანს არ ჰქონებია ერთობა მსოფლიო ეკლესიასთან. 431 წ. ეფესში დაინიშნა მესამე მსოფლიო კრება, რომელმაც უარ ჰყო მშაულებლობა ნესტორისა, რომელიც ასწავლიდა, რომ იესო ქრისტეში არის ორი პირიო, და ყოველად წმიდა ფეთის-მამობელს უწოდებდა ქრისტეს მამობლად. ადმოსავლეთის აზრის ბ ერთი ეპისკოპოსები ვერ დაესწრენ ამ კრებაზე, რადგან გზაში დაავიანდათ; ამიტომ მათ შეადგინეს თავიანთი კრება, რომელზედაც ნესტორი იცნეს მართლმადიდებლად და უარჰყუეს მესამე მსოფლიო კრება. აისორების წინაპრებმა, რომელნიც ცხოვრებდენ ბიზანტიას იმპერიის გარეშე, ვერ მთახერხეს დასწრებოდენ 431 წელს ეფესის კრებაზე და ამიტომ იგინი ამ დროს არავითარ მომხრობას არ უწევდენ ნესტორის მწვალებლობას. ეს მწვალებლობა მხოლოდ შემდეგში გავრცელდა მათში, სახელდაობრ 484 წელში ბიზანტიის იმპერიიდან განდევნილ ნესტორიელთ, რომელ-



ნის სპარსეთში გადასახლდნენ, გაავრცელეს ეს მწვალებლობა მათში— ერთმა ამ განდევნილი-ტანმა, სახელად ვარსუჰმა, მიიღო მატრიაზოლი-ტობა ნიზინისა, შთაგონა სპარსეთის შაჰ-ს შეროზას, რომ თუ შერს-ეფენი ქრისტიანები მიიღებენ ნესტორის სწავლას, მშინ მათსა და ბიზანტიის ქრისტიანებ შორის ჩამოვარდება განხეთქილება, იგინი გაიყოფებიან ორ მოწინააღმდეგე ბანაკად და მაშინ სპარსეთი ადვილად შეიძლება ბიზანტიის წინააღმდეგ ბრძოლასთ. ასეთი რჩევა მიიღო სპარსეთის მთავრობამ, რომლის შემწეობითაც ვარსუჰს დიდის ძალით მძივრობით სპარსეთის ქრისტიანებ შორის გაავრცელა ნესტორის მოძღვრება, რომელიც დაბოლოებით იქნა მიღებული რუსკოვსების კრებისაგან ბეტლ-ლაშარში 483—484 წლებში.

ამ სახით ნესტორიელთ შუადგინს საკუთარი ქრისტიანთა საზოგადოება და გაავრცელეს თავიანთი მოძღვრება, ზნეობა და ჩვეულებანი სპარსეთის გარემოც: ისინი აგზავნიდნენ მქადაგებლებს ჩრდილოეთ-სკენ უსახლკარო თათრების ტომებთან კასპიის ზღვის მიდამოებში, დასავლეთ-სკენ—ინდიაში და ცვილონიში და შორეულ ადამიანთათვისაც—ჩინეთში. მეექვსე და მეშვიდე საუკუნეებში მათ ჰქუვადათ 2 მატრიაზოლიტი. მათმა საზოგადოებამ განსაკუთრებით მტკიცედ მოიკიფა ფეხი მეთურთმეტე საუკუნეში. ბაღდათის ხალიფებმა მათ დიდ მფარველობას უწევდნენ, და ზოგჯერ უმთავრეს სახელმწიფო ადგილებს ამ ნესტორიელებს აძლევდნენ. მაგრამ ხალიფების დაცემის შემდეგ ნესტორიელთ-სირო-ქალიფეველთ ძლიერ ცუდი დრო დაუდგათ: მათ დაუწესა დევნა და ამ სხით მათი საზოგადოება დეუსე. მონღოლთა ბრძოლით დაშკრობა ტაშერლანმა მთლად შეშკრონა ნესტორიელთა ეკლესიური ცხოვრება; მთლად მოსრეს ნესტორიელთა ეკლესიები, ხოჯები და წიგნთ-საცავები. სირო-ქალიფეველები გაცქცნენ ამ დევნას და თავი შეიფრეს კურდისტანის მთებში, ინდიაში და კიპრის კუნძულზე. 15 საუკუნის შუა კიბრიელნი ნესტორიელნი შეუერთდნენ რუმის ეკლესიას და ამ დღემდე ეწოდებოთ მათ ქალიფეველ-კათოლიკები, ხოლო მეთვრამეტე საუკუნის დასაწყის, დიდი ყოყმანის შემდეგ,

ლათინთა მქადაგებლების მეოხებთ, მესოქო-ტამელო ნესტორიელებმა თავის მფრველად რომ აღიარეს. მხოლოდ კურდისტანის და აზერბაიჯანის აისორები დარჩნენ ნესტორიელებად; პირველნი იმყოფებიან სათათრეთის სამზღვრებ შორის და თავის შუადგილად აქვთ კუდმანისი, სადაც ცხოვრებს მათი ქათალიკოსი მ.რ-შიმონი, ხოლო უკანასკნელნი ცხოვრებენ სპარსეთის შჰის სამფლობელოში და თავის საშუალო ადგილად აქვთ ქ. ურმი. ორივე ნესტორიელთა რიცხვი დღეს 150,000 სულზე მეტია, რომელთაგან 50,000 მომეტებული სული ცხოვრებს ურმის სამფლობელოში.

ქ. უაზანი, და სსსუდელირო კონცერტის გამო.

(წერილი უაზანიდამ)

როგორც ჩვენმა პატრეცემულმა სამღვდლოებამ უწყისი, უაზანი ერთი საუნევერსიტეტო ქოლოქიანია რუსეთში. სხვა უმაღლეს სასწავლებელთა შორის აქ არსებობს სასულიერო აკადემია; სემინარიოთ, სასულიერო სასწავლებელთა და მრავალი სამრევლო და პირველ-დაწყებითი შკოლებით. როგორც პროფესორ ბეტრე ზნამენსკის თხზულებიდან: «История Казанской Духовной Академии»-დან სჩანს, უაზანის აკადემიაში მისი დაარსებიდან (1742 წ.—1870 წლამდე სულ ხუთ ქართველს უსწავლია (ე. ი. 28 წლის განმავლობაში იმდენს, რამდენიც დღეს სწავლობს ამ აკადემიაში). ყველაზე უწინ ქართველთაგან კურსი აქ ყოვლად სამღვდლო ალექსანდრეს გაუთავებია (მესამე კურსის სტუდენტი). აი რას ვკითხულობთ ჩვენ მის შესახებ აღნიშნულ თხზულებაში: „1846 წელს აკადემიის სახელმწიფო ხარჯზე-მოზარდ სტუდენტთა შორის ჩარიცხულ იქნა ერთი ქართველი თელიისის სემინარიიდან, ბერ-დიაკონი ალექსანდრე ოქროპრიძე იმ მიზნით, რომ კურსის დასრულების შემდეგ კავკასიის ერთ-ერთ სასულიერო სასწავლებელში ემსახურნა. 1) და სხვაგან: „1850

1) იხილეთ „История Вал. Дух. Академии“ 18. Знаменского III, გვ. 127.



წელს კურსი დაასრულა, ხოლო 1851 წლის 6-ს ოქტომბერს კანდიდატოთ იქმნა დამტკიცებული ოქროპირიძე ალექსანდრე (ერის კაცობაში—ალექსი დავითისძე)—თფილისის სემინარიიდან²⁾, და აქ მოკლეთ ჩამოთვლილია ყველა ის ადგილები, სადაც ყოვლად სამღვდელოს უსახურნია დღიდან აკადემიის დასრულებიას. აქვე ამ წიგნშივეა მოყვანილი ერთი ფრიად სასამოვნო შემთხვევა, ეპიზოდო ყოვლად სამღვდელოს ცხოვრებიდან მაშინ, როდესაც იგი ჯერ ისევ აკადემიაში სწავლობდა. აი ეს ადგილი: „1847 წელს ოქტომბერში, როდესაც აკადემიას ხოლერა შემოეპარა, აკადემიის მთავრობამ საქიროთ დაინახა ამოერჩია რამოდენიმე სტუდენტი, რომელნიც თავ ვანწირვით უვლიდენ თავის ავთ მყუდ ამხანაგებს და მასწავლებლებს, და რომელთა შორისაც აგრეთვე მხურვალე მონაწილეობას იღებდა ბერ-მონახონი ალექსანდრე ოქროპირიძე“³⁾.

ქ. ყაზანი ჩვენთვის სხვა მხრითაცაა შესანიშნავი. აქ იმეკონება ქართველთა ღვთის-მშობლის ხატი (Грузинская икона Божией Матери), რომელიც მხოლოთ პირს (копия) წარმოადგენს ნამდვილი ღვთისის (ეს უკანასკნელი კი, როგორც დანამდვილებით შევიტყვეთ, დღეს არხანგელსკის გუბერნიის შავი მთის მონასტერში—обитель Черной горы, Архангельской губернии—ასენია⁴⁾, რომელსაც რუსეთში დიდი სახელი და პატივისცემა აქვს მოპოებული, ასე რომ იმის სახელობაზე მარტო ყაზანის გუბერნიაში ორი ეკლესია არსებობს: ერთი—თერთან ყაზანშია, რის გამოც, როგორც ტაძარს, აგრეთვე მის გვერდით მთელ ქუჩასაც საქართველოს სახელი ჰქვია („Грузинская церковь», грузинская улича»), და მეორე—ყაზანიდან 28 ვერსით შორის... ჩვენ მოგახსენებთ, ეგრეთ წოდებულ რაითის ღვთის მშობლის უდაბნოზე (Раиоеская Богородицкая Пустыня), სადაც აგრეთვე მეორე პირია საქართველოს ღვთის-მშობლის ხატისა, რომელსაც აქ მრავალ სასწაულებს აწერენ.⁵⁾ რუსების პატივისცემა ამ ხა-

ტისადმი ისეთი ძლიერია, რომ ყოველ წელს ივლისის იგი რაითის უდაბნოდან ქ. სვიასკში მიაქეთ ხოლმე, სადაც იმას დაატარებენ თვითველ ოჯახში როგორც ქალაქში, აგრეთვე სოფლებში და სადაც იგი 21 მარიაშობის თვეში რჩება ხოლმე.⁶⁾

ქ. ყაზანში ბევრი სხვა-და-სხვა ღირს-შესანიშნავი და საგულისხმეო ნაშეობი, დაწესებულებანი და ჩვეულებანა. ერთ ამისთანა ჩვეულებანზე გვსურს გამოვცხადებოთ დღეს ჩვენს პატივ-ცემულ სამღვდელოებს.

ამ ორიოდ დღის წინათ (19-ს და 22-ს მარტს) აქ, კეთილ-შობილთა საქრებულო დარბაზში, სასულიერო კონცერტი იქნა გამართული ორჯელ ზედღებულ, რომლის შემოსავლის ერთი ნახევარი ყაზანის სასულიერო სემინარიის ღარიბ მოსწავლეთა და მეორე—სამრველო სკოლების მასწავლებელთ (ქალთა და ვაჟთა) სასარგებლოთ გადადევს. გუნდი (რიცხვით 120 კაცამდე) არქიელის, სემინარიის და სასულიერო სასწავლებლის მაგლობელთაგან შესდგებოდა; ერინ, აგრეთვე, გალობის მოყვარულნიც გარეშე პირთაგან. საზოგადოება ორივეჯელ ბლომათ დაესწრო; აქ თქვენ შეხებულადი მღვდლებს და ბერთ, სამხდლო სკოლების კაცთ და მოხელეებს (ჩინოვებებს), ისე როგორც ვაჟარს და უმაღლეს სასწავლებელთა სტუდენტებს, მღვდლის ოჯახობას და სხვა წოდების ქალთა და სხვ. ერთი სიტყვით საზოგადოება მრავალ ფეროვანი დაესწრო ამ კონცერტს და დიდათ ნასამოვნებოც დარჩა. როგორც მეორე დღეს გაზეთებმა გვაცნობეს, კონცერტს ბევრი მწვალებელიც (რასკოლნიკი) დასწრებოდა. იგალობეს თხუთმეტამდე სხვა-და-სხვა საგალობლნი რუსეთის ცნობილ კომპოზიტორების: ლეოვის, ბორტნიანსკის, ტურჩანინოვის და სხვათა. აქ ჩვენ არ შეეცებით ამ საგალობელთა შესრულების მუსიკალურ ღირსებანაკულლოვანებებს (მართალი მოგახსენოთ, ამისათვის ჩვენ არც ძალი შეგვწყვეს და არც ცოდნა) ჩვენ დღეს გვაინტერესებს ის ფრიად სიმპატური მიზანი და დანიშნულება, რომლის მისაღწევათაც ეს კონცერტი იყო გამართული.

როგორც ვიკით, აწ არსებული საეკლესიო კანონების ძალით, სასულიერო წოდებებს (სამღვდელოებს) ნება არა აქვს დაესწროს იმისთანა გასარ-

²⁾ იქვე ტომი III, გვ. 371.

³⁾ იქვე ტ. I გვ. 79.

⁴⁾ ამის შესახებ იხილე წიგნაკი: «Краткое описание Раиоеской Богородицкой пустыни». Казань 1882 წ. გვ. 10—11.

⁵⁾ აღნიშნულ წიგნაკში ბარე ზუთამდე სასწაულია ჩამოთვლლ ლი. გვ. 16—19.

⁶⁾ იქვე, გვ. 12.



თბო კრებებს და დაწესებულებათ, როგორცა თე-
ატრი, საერო კონცერტი, ბალები და სხვ. ამის გამო
მიმეტებული ნაწილი სამღვდლო პირთა და არა
იშვიათათ მთელი სამღვდლო ოჯახობანიც კი სრუ-
ლებით მოკლებულნი არიან იმ წმინდა ესტეტიკურს
სამომენტას, რომლითაც ისე უხვათ სარგებლობს
საერო წოდება, რომელსაც ის კიდევაც მოჰყარებია.
თუ ეს მართალია საერთოთ რუსეთის სამღვდლოე-
ბაზე, მით უმეტეს მართალი იქნება იგი, თუ ჩვენი
ქართველი სამღვდლოების შესახებ დავიწყებთ ლა-
პარაკს.

მართლაც და, ვინ არ იცის, თუ რა კარჩაკე-
ტილ წოდებას წარმოადგენს დღეს ჩვენი სასულიერო
წოდება? სამს, ქონებით, გონებით და ზნე ჩვეულე-
ბებით სხვა-და-სხვა წოდებათა (გლეხთა, აზნაურთა
და მოვაჭრე-მოქალაქეთა) შორის ჩაყენებული, იგი
იქნეულია: არ იცის, რომელ ამ წოდებათაგანს
მიაკუთნოს თავისი თავი, რომელს მიეკედლოს...
თავისი წმინდა დანიშნულებისამებრ, იგი სიხარულით
გაუწვდიდა ხელს თავის დაჩაგრულ თანამოძმეს (გლე-
ხსაც), მაგრამ საზოგადოებრივ ცხოვრების შეუფერხ-
ებელი მსვლელობით და საკუთარი მატერიალურ
ხელ-მოკლებობით, ისე, როგორც თვით ამ გლეხ-
კაცობის ცუდი მხარეებით იძულებული ო), იგი
თან და თან გულს იყრის ამ უკანასკნელზე და
უფრო იმ წოდებისაკენ მიიწევს, იმდამიანთა ჯგუფს
უახლოვდება, რომლისაგანაც უფრო მეტს სიამოვნე-
ბას და სარგებლობას, გონებრივს თუ ზნეობრივს
მატერიალურს საზრდოს გამოიღოს. ამისთანა ჯგუფს
კი ჩვენში დღეს ვაჭრები და თავად-აზნაურობა წარ-
მოგვადგენს. და აი, აკი ამიტომაც, რომ ჩვენი სამ-
ღვდლოება ამ ორ წოდებასთან დაახლოვებას უფრო
ესწრაფვის, ვინემ გლეხობასთან. მაგრამ, როგორც
მოგვხსენებათ, მიმეტებული ნაწილი ჩვენი აზნაუ-
რობისა (თავადებზე ნულარას ვიტყვი) ისე მის
დღეში არ დაიმტკიცებს თავს, რომ ვიღაცა «ხუცის»

ოჯახი დაიახლოვოს ან დაუახლოვდეს, თუ
ნასკნელისაგან რამე პირადულ სარგებლობას არ
გამოიღოს. ეს კია, ღმერთ წინაშე, რომ თავად-
აზნაურობის ამ გვარი ტრადიციული შეხედულ-და-
მოკიდებულება სამღვდლოებასთან თან და თან ჰკარ-
გავს თვის ძალას განსაკუთრებით იქ, სადაც, ერთის
მხრით, თვით თავად-აზნაურობას მატერიალურ-გო-
ნებრივი დაქვეითება დაეტყო და, მეორე მხრით,
თვითონ სამღვდლოებამ შესძლო მისი წინ გასწრება
თუ ზნეობით არა, გონებრივ-მატერიალურათ მიანც...
გვანებ, არავინ შემოგვწამებს ფაქტის გაზვიადებას.
თუ ვიტყვი, რომ რამდენათაც ჩვენი სამღვდლოება
ამ 20 თუ 30 წლის წინათ უზატყვემულია და
თითქმის შეურაცყოფილიც იყო მთელი ვერეთ წო-
დებულ, «კეთილ-შობილთა» წოდებისაგან, იმდენათ
იგი დღეს თან და თან პატივის ცემის ღირსი ხდება
ამ უკანანელის თვალში, რომელმაც უკვე შესძლო
მასში არა მარტო ნაკლებლოვანებათა დანახვა, არა-
მედ ბრწყინვალე მხარეების შემჩნევაც. მოვიგონოთ,
რას სწერდა ამ რამდენიმე თვის წინათ «ივერიაში»
ბ. დავიწყებული მწერალი! აი ეს სიტყვები: «ვინ
გაუჩნდა პატრონი საბრალო ქვეყანას და დიდ-კა-
ცობისაგან დაიწყებულს ერს? ის ნაწილი ჩვენი
საზოგადოებისა, რომელსაც წარფელის გულისა,
მხურვალე სამშობლოსადმი სიყვარულისა, წმიდა
გრძნობისა და გონების სიფიზილოს მეტი არა ებადა
რა. ეს იყო და არის ის «ახალ-თაობა», რომელიც
გამოვიდა დარბა თავად-აზნაურთა და სასულაურთა
წოდებათა წინაშე». ეს იყო და არის მესვეური,
რომელმაც დღემდის უწინამძღვრა ხალხს, ცრტათ
თუ ბევრათ გონებრივი ძალა შესძინა და ზნეობრი-
ვით შეამაგრა. ეს იყო და არის ის რაზმი, რომელმაც
დაობლებული საქართველო იშვილა და მის ბედნი-
ერებისათვის ყოველ ამ სოფლის ნეტარება უარ-ჰყო.
კალმით თუ სიტყვი, სკოლით თუ წიგნით მან წი-
ნაღამდებობა გაუწია დროს უკუღმართობას»¹⁾ და

1, იხილეთ წარუდგელი «მოამბის» № 1-ში ჩვენი ახალ-
გახდა ბელეტრისტიკის, დ. კლიაშვილის სურათი: «მრეკლში»

*, ხაზი ჩვენგანაა ვასპული.
*, იხ. «ივერია» 1897 წ. № 248.



საისტორიო მასალა

ს ა ქ ა რ თ ე ლ ი ა ს


შველი ღროის თავგადასხვალი.

გაკრეულა *.

სხე .. ჩვენი მზრით დიდი კანდიერება იქნება, რომ ყოველივე ამ თქმული მარტო ჩვენ თავზე მივიღოთ; ხოლო ის კი ყოველივე ეპეს გარეშეა, რომ ქართველი საზღვდლოება არც ისე მუქთა მკამელი წოდება ყოფილა, როგორც ეს ამ რამოდენიმე ათი წლის წინათ ეგონათ, რომ არც ის ჩამორჩენია საქართველოს წარჩინებულ შვილთ სამშობლოსათვის მოღვაწეობაში, მასაც შეუწირავს მცირე მსხვერპლი სამშობლოს სამსხვერპლოზე, რასაც ხმა-მაღლა აღიარებენ დღეს თვით მაღალი წოდებიდან გამოსულნი პირნი. . . თუმცა ეს ყოველივე ასეა, მაგრამ რას ეხებადეთ ცხოვრებაში? მიუხედავთ იმისა, რომ ჩვენმა სამღვდლოებამ რამოდენათმე ჩვენ თავდა-აზნაურობას წინ თუ არ გაუსწრო, უკან მიინც არ ჩამორჩენია, მიუხედავთ იმისა, რომ მისი გონებრივ-მატერიალური მდგომარეობა დღეს ამ უკანასკნელს საყურადღებო საგნათ გადაქცევი¹⁰), რის გამოც ერთი მეორეს თვალში თან და თან მტეს პატივის-ცემის ჰპოულობს,—ამ ყოველივეს მიუხედავთ ჩვენი დღევანდელი სასულიერო წოდება [თეთრი სამღვდლოება] გულით მიინც თავდა-აზნაურობას შენატრის და — ჩვენდა სასირცხვოთ უნდა ესთქვათ — თითქმის კიდევაც შეშურს მისი ჩამომავლობა, სწუხს, რატომ იგიც «კეთილ-შობილათ» არ დაბადა. რა საკვირველია, საქმის ამ ნაირი ვითარება ძველი, ტრადიციული შეხედულებებით აიხსნება: იყო ღრო (და ვის არ ახსოვს ის ღრო), როდესაც თავდა-აზნაურობა იდევალს შეადგენდა როგორც მთელი ერისათვის, ისე ჩვენი სამღვდლოებისთვისაც.

ღროებით ჩრდილოელი ს. გ.

შემდეგი იქნება.



ჩინგისის ყუენის ყიასდინ თემურჩის გამოჩენა და მისგან ქართველთა მეფის ლაშა ვიორგის დამარცხება, ვინაითგან მეფემან განიშორა ღმერთი და იქნა სიბოროტისა მიმდრეკ და ღმერთისა განეშორა მეფესა და ქართველთა.

ვინადგან მეფე ღმერთს სძულობს, არა იქმს ღუთისა ნებასა, სიბოროტესა იყვარებს, მრუშებით ჰყოფდეს შევებას, მყის ღმერთი არა მაგერს არა სცემს სახმელ-გზებასა,

ბოლოს აჩვენებს საქმითა მეფეს და მისსა კრებასა.

გამოჩნდა ვინმე ჩინგზად ყუენი განდიდებულად, ყიასდინ თემურჩი შვილი შეიქმნა აღმატებულად, ერთისა ღუთისა მოსავი, გამცემ მხნეობით ქებულად, გლახაკთა შემწყნარებელი, სიტყვა წყლიანი შევიულად.

ბრძანა მან ღიღმან ავლუსტან, მეფეთა ზედა სვიანმან, წარვლონ, წარვიდნენ ჯარებმან ჩემმან ჩემითა ხმინამნან, ორთავე ერთად მთავრებმან, მათ ჩემით საქმე გზინამნან, ლაშკრითა ორთავე მკამრებმან, ჩემ სევემან განგებიანმან.

წარმოემართნენ ორნივე ლაშკრითა არა მკირითა, თურქეთ სპარსეთი ჯეონი მუსრეს საქონელ-ქრთილითა, მოადგნენ ქართლის სამზღვარსა, გაგი ჰყვეს განაქირითა, ამის მსმენი მეფეა ბრძოლად ვალს ქართველთ გმირითა. მივიდა მეფე საგამს წყალს, მტერი ჰხვდათ ბანაკებულთ,

¹⁰, იხ, „ივერია“ 1898 წ. № 37 მოწინავე წერილი (თბილისის სასულიერო სემინარიის მოწოდება შესახებ).

* იხილეთ „მწვენისი“ № 22, 1897 წ.



მკვთა მეფე ქართველთით, ვყოთო აწ აოხრებულნი, იგი ჩინგიზნი შეიქმნენ ხმა მალლად მიყვანებულნი, გნენ ძლიერად ქართველთა მეფე ჰყვეს დამარცხებულნი.

გამოდრკნენ გმირნი ქართველნი თამარ მეფისა ზრდილობი ომს შიგან მძლევი ყოვლ მტერთა, როს ღვთისა ადგათ ჩრდილობი,

მა ლაშა იქმნა ღვთისაგან ბოროტით შენაძულეობი, რადგან მან ღმერთი განაგდო, უჩვენა მავიერები.

ქართველთა ზრუნვა შეასდგათ მეფეს ამხელდენ ზირადო,

გმე ვითა ჰქენ ან რა ჰყავ ნახარდი არსო მწირადო, მდაბალის აზნაურთ ქალი ვით იქმნეს მეფეთ მზირადო,

ნუ ჰყოფთ მაგაზე ქორწილსა ნუ გვარცხენ მონათ ხშირადო,

მეფემ უბრძანა არა ვიქამაზე ქორწილებასა, მაგრამ მიყვარსო ძლიერად ნუ მიმცემთ სახმელ გზუბასა,

მყვანდეს ვით სხვათაც ყოლიათ ვიქმოდე გულის ვეგბასა,

შეკარს არ დავიწერ იცოდეთ ქართველნი გიყოფთ ნებასა.

მართ ერთი წელი ისე ჰყვა მისთანა შეექცეოდა, მერმე ჩუმით ჰყო ქორწილი, ეგრვისგან შეიმცნეოდა, ქართველთ ეგონათ ხასათ ჰყავს ევროდეს გაქცეოდა,

მაგრამ მეფესა ჰყვა ცოლად სჯულიერებით ზეოდა. ორსულ იქმნა მეფის ცოლი ვის არა ჰხადდენ ცოლადო,

მეფე სიფრთხილით ზელ ნელად აროინებდა ხელოადო,

ბრძანა მეფემან მონახეთ ბებია ამის შევლოდა, და უშვა ძესახელს უწოდენ დავით იქმნება ქველადო.

კვლად შვა ერთი ასული პირმნათობ ამალღებულნი,

რუსუდან სახელ უწოდეს ბევრთ მეფეთაგან ტრფობული,

მისისა სიტურფის ყოველს კიდესა ქებულნი,

ვინც ნახის შუქს შეადგის შეიქმნის განშეგნებულნი.

ბოლოს მეფისა მიცვლის დღეს სცნეს ქართველთ მეფის ქმნილობი,

დიდათ იამთ ვინადგან დაუშთა ლაშას შვილები, რადგან ხარჯისგან არ იყენენ ქართველთ დაედვათ გულეობი,

დაუწყეს ზრდანი სწავლანი მეფეთა რიგნი სრულეობი. დავით მეფე, რომელი იწოდა აღმაშენებლად,

მუნიდგან ლაშა მეფედმდე ვერგინ ჩნდა ქართველთ მავნებლად,

არვისგან არა ძლეული დროცა ყოვლთ მტერთა მძლეველად,

ქართველთა მეფეთ ბავრაცი იყო სხვათ შემარყევლად.

აწ ლაშამ ღმერთი იძულა, იქმნა ეშმაკის რჩევისა,

მიილა ძლევა მტერთაგან, პირველ მტერთ უძლეველისა,

დამარცხებული ქართველნი გზა აღარ ჰქონდათ შეველისა,

თათართა ბევრი თავი სჭრეს ქართველთა კაცთა ძველისა.

ჩინგიზელები გაბრუნდნენ მშვიდობით აუჭქარები, მეფე და მისი ქართველნი ხოცილნი მტრისგან მკმარები,

ქართლსეგ მობრუნდნენ სირცხვილით არგინ ურკეს ზარები,

განუდრეკელნი ქართველნი მტერთა ჰყვეს შენაზარები,

იყო მშვიდობა კვლადცა მტერნი გაბრუნდნენ ჩინგელნი,

ხარობდნენ ყოვლნი ქართველნი ვით ლხინის მყვარნი ინდელნი,

ნეფის დას რუსუდან ქალსა ეტრფოდნენ ყოვლნი სინდელნი,

მშვენიერებით მდიდარსა მის ეშხის იყენენ მზირელნი. სთხოვეს ლაშასა და თვისი რუსუდან სახელდებულნი,

ყარუნშა იყო სულტანი სიმაღლით ამალღებულნი, მეფეო ცოლად მიბოძე და შენი პირმზე ქებულნი,

მაგისის ეშხით შეექნილვარ მე გულით ლახვარცხებულნი.

აღუთქვა მეფემ მიცემა დისა რუსუდან ქალისა, ვის ქონდა მწყაზარ ბადრობა სხლობა ორთ მკვირვალ ლალისა,

გავსილსა პირსა უხდება შავად შეჯღამა ხალისა, მისისა მნახველსა მოაკლდის ღონე მხედვლობა თვალისა.



კვლად არ დასცხრა მეფეი ბოროტ და ყოფა
ქცევასა,

აქა ვაჟალდინ სულტანის შემოსევით ქართლ-
მიგან.

ემშაკთა რჩევამ სნეულ ჰყო მისცა ლოგინად წო-
ლასა,
ადამის შემოღებულსა ვალსა ჰყოფს გარდახდევასა.

სულტანი მყისად მოვიდა გაგი ჰყო შენა-
მკირვები,
მცნობმან რუსუდან მეფემან მოკრიბნა ქართველთ
გმირები,

აქა მეფისა ლაშა გიორგის დასწეულება ცუდის მოქმედებისა
მიერ და გარდაცვალება მისი და დისა მისისა რუსუდან ჰა-
ლისა გამეფება ქართველთაგან რომელიცა არცა ის იყო დღის
მსგავსი არამედ მსგავნი ძმისა თვისისა ლაშასი უმეტესად.

იოვანე ჰყო უფროსად დრო არსო განაჰკირები,
ათაბაგს სახელად სდებენ იყო მტერთ მომნად მტრინცი.

ათაბაგმან ჰყო მზადება ჯარსა აწყობდა რიგითა,
მეწინავენი გააწყო დასტებად ხშირის თოვითა,
უბრძანა შალვას, ივანეს, თქვენ წინ სდევითო მზი-
რითა,

რა ჰსცნა მეფემან სიკვდილი ჰგრძნო უკურნება
თვისია
მოიხიზო სრულად ქართველნი მღვდელ-ეპისკოპოზ
თვისია

თვისივე სახლის შვილები ჰყო შურით განაჰკირითა.

წარვიდა ათაბაგი და წინად მიდიან წინანი,
შალვა და იოვანედა მტერთა ყოველთვის მტრინანი,
მივიდნენ მტრისა პირის-პირ თვისის დასტითა მზი-
ნანი,

უბრძანა აჰა ჩემსა წილ რუსუდან დაი თვისია
ჰყავთ ეს მეფედ ყოველთა ძეცა უჩვენა თვისია.

ჯერ ვერ შემართეს შეკითხვა მტერთა სიმრავლის
შინანი.

ჰყავთ მეფედ პირველ რუსუდან თქვენ-ზედა
ჰყავით მფლობელად,
მასუჯან დაეითს ძეს ჩემსა ექმნენით შენაჰყოველად,
ესე ანდერძი ჩემ მიერ თქვენდამი შენავედრებლად,
თვით განუტევა სული-სცა ანგელოსთ ასაწონელად.

უვლინეს კაცი ათაბაგს ივანეს სახელ დებულსა,
მკირე გვაშველე ჯარი და გყოფთ სახელ განდიდე-

ბულსა,
ჩვენ ვერ შეგმართეთ სიმრავლეს სულტანის გუნდს
დარაზმებულსა,
ჰკადრებთ შალვა და ივანე სპასილარის ამაღლე-
ბულსა.

აქა რუსუდანის გამეფება ქართველთა ზედა.

დაისევს მეფედ რუსუდან ქართველნი შეამკობ-
ლიან,
მეფეო იქმენ მოსავი ღვთისადმი ამას ჰზმობდიან,
იგიცა იყო მოწყალე ხარკსა უმეტეს ჰსძღვრზობდიან,
მაგრამ იგიცა მოღობინე მასთანა ზმისა ჰზმობდიან.

არ შიამველა ჯარები არცა თვით იქმნა მსგელთა,
მცნობმან ივანე შალვამან ჰქმნეს საქმე საშინელია,
კვლად გვედრნენ ათაბაგს ჰყავ ჯარი მონაშველია,
არა ინება სარდალმან შურით არს მათი მკვლელია.

თუმცა რუსუდან დედასა ჰგვანდა კეკელუკად
შენორდა,

როს გარდწყვიტეს იმედი შალვამ ივანემ გმი-
რებმა,

ეკლესიათა ამკობდა მღვდელთა და ხატთა ჰყვაროდან,
გლახაკთა განამდიდრებდა ქერიობოლთ განაშენიოდან,
მაგრამ უყვარდა შექცევა სიტყვანი სააშუიოდან.

მყის მიეტყვენენ სულტანის რაზმს თუმცა გუნდითა
მცირებმა,

აქუნდა შეება და განცხრომა ლხინი ყოველ-
დღე სვიანად,

ძლიერი ბრძოლა შემართეს მათ საქმე განამკვირებმა,
ბოლოს იძლიენენ ქართველნი ჰქმნა ათაბაგის შუ-
რებმა.

იყო ჯალალდინ სულტანი ინდოეთს დიდებიანად,
ჯგონის მდინარესამდე იყო მის ხელ-ქვეშე ხმინანად,
მოკრიბა ჯარი მრავალი ჰსთქვა ქართლსა ეყოფო
ზინანად.

შალვა იბრძოდა ძლიერად მხნედ მამაკობის
გულითა,

ივანეც მასთან უძრავად იდგა გულითა სულითა,
ბოლოს სულთნისა ჯარმანდა მომართეს გულის
სრულითა,
სიმრავლემან სძლო შალვას და ივანე შექმნეს ლუ-
ლითა.



შალვა შვიპყრეს ცოცხალი ივანე მოკლეს ომიითა, შეჩვენებული სარდალი თვის ალაგს იყო დგომიითა, არ მიეშველა წინა რაზმს შურითა მათზე ზომიითა, მობრუნდა თითონ მშვიდობით სიხარულითა ხლდომითა.

გაბრუნდა მძლავრი სულტანი ათხრა ქართველთ მზღვარია, იხმო თვისთანა შალვაი ომს შიგან დანაქერია, უბრძანა იქმენ მახმადის შენ რჯულის დანამჭერია, გიბოძო მრავლის მრავალი, ბევრი სიტყვა ჰრქუა მტკბარია.

თუ მოხვალ ჩემსა რჯულზედა სულთანნი არის მზომებლად, გყო სახლის ჩემის უფროსად და ჩემად შემამკობებლად, შალვა ამისი მსმენელი არს ქრისტეს რჯულის მხმებლად, უთხრა სულტანსა: რჯული-ლორო ვარ მონა ქრისტეს მჭებლად.

ტანჯეს მრავალ გზის შალვაი ტანჯვითა მრავალ-ფერითა, მაგრამ სდგა მტკიცედ ქრისტესთვის გულისა სიხარულითა, აინებეს მახმად აქებს ღმერთს არს ღვთისად ტრფილბითა, ბოლოს აწამა მოცა-ჰკლეს აწ ქრისტეს ახლავს შვიბითა.

აქა ქორწილი რუსუდან მეფისა.

ამასვე წელსა რუსუდან ჰყო ქორწინება თვისია, ტურღულიის ძესა ზედანდა არ იყო გვარად მქისია, იყო ქორწილი განცხრომა ღამეს და დილას დღისია, ლხინობდა შეეჭკვოდა ჯაგერი არ ჰქონდა ვისია.

იყო ტურღალლის ძე იგი მხენ მზრძოლი შვენიერი, თამამი გლახათ შემწყალე ტან ნაზარდ ნეზიერია, გამომთქმელ ენა-წყლიანი, შემყარელი მოუბარია, ყოველითურთ მშვიდი კეკელა ნაკეთებით ზომიერია. არ დაიძარხა რუსუდან ანდერძი თვისს მძისადა, არცა ისმინა სიტყვანი არვის ერთგულთა ყმისადა, დარჩა ღაშას ძე დავით და უმეფოდ მყოფი თვისადა, რუსუდან მას ზედ ეძებდა დრო იცეს მოკვლად მისადა.

მიუღდა მეფეს რუსუდანს ქმარი ტურღალის ძეოდა

იქნა რუსუდან მუცელ-ქმნილ შვა მშვენიერი ძეოდა, კვალად უბოძა ასული თამარ ვინ განაშვენოდა, ძესა უწოდეს დავით და ნარინ სახლად მხნოდა.

რუსუდან მატა ბოროტი ბოროტსა მიჰყო ხელია, არა იგონა ღმერთი და არც საყდრად იყო მვლელია, კვალად მობრძანდა სულტანი ჯალალდინ ქართლსა მსვლელია, რუსუდან თვის ცოდვითა ქართველთა ექმნა მსვრელია.

აქა შემოსევა კვალად ჯალალდინ სულთნისა და ალაისზა ქართლი და უკუნ იქცა.

მოვიდა მძლავრი სულტანი ჯალალდინ სვრიდა ერსადა, ქართლი აოხრა ბევრ-რიგად ჰკლევდა ყრმასადა ბერსადა, უნდოდა ქართველთ მეფობა აღარ მიხნდა ღმერთსადა, უკუნევე ღმერთმან აქცია ქართველთ ტყვეს ჰყიდინ ბერსადა.

აქა რუსუდან მეფისაგან მისა თვისისა ნარინ დავითისა გამეფება.

როს მიიცვალა მეფეი ლაშა გიორგიდ ხმოზილი, რუსუდანს უთხრა ანდერძი მან სიტყვა რამე სწობილი, როს განიზარდოს ძე ჩემი დავით სიმხნითა მკობილი, და დასვით მეფედ შენსა წილ არა ჰყოთ იგი გმობილი.

რუსუდან არა იგონა ნათქვამი ძმისა მეფისა, არცა იგონა ძმისწული დავით ღირს იყო ქებისა, მოკრება ბრძანა მღვდელ მთავართ ეგრეთვე ქართველთ სეფისა, მეფედ დაცასვა ძე თვისი თვით ლხინი ჰქონდა შეგებისა.



აქა ყიასდინ სულტანისაგან თამარ რუსუდან მეფის ქალის თხოვნა ცოლად, ხოლო რუსუდანისაგან მიცემა პირობით რათა არა დაატევიზინოს რჯული ქრისტესი.

ქმა ყიასდინ სულტანისა ქება მას თამარ ქალისა, ახალთ იავუნდ კოკორთა გაფურჩენა ორთა ლაღისა, გაბადრულოს პირსა უხდებნა შავნაკვეთობა ხალისა, მის შემხედველსა ტინ კლდესაც ჰქონდეს მოკლება ძალისა.

ყიასდინ კაცი უვლინა რუსუდანს მეფის ძმო-ბილსა, მესმა ქებანი შევეტრფე თამარს შენს ასულს მკობილსა, მე მომეც ცოლად შევიერთავ ნუ მყოფ მე ცუდად გმობილსა, გეგულეობდე მოყვარედ ქართველთ გავიდი ძმო-ბილსა.

რუსუდან დაჰყვა ნებასა, მფიცეო სიტყვა, სრულია ჩემსა ასულსა თამარსა არ ავმობინო სჯულია, მან ფიცა თვისა ყორანჯედ, ამისგან გავხდე კრუ-ლია,

იყოს თვისავე რჯულზედან ვით არის განკარგულია. მისცეს რუსუდან (ქ) სულტანისა, მას დრო ეწია ნებისა, აწყური მზითევად მისცეს, ლხინი ჰქმნა გულის შევებისა, მან წარიყვანა თამარ და უმშვენებურეს ქებისა, დიდად უყვარდა სულტანისა მისის სურვილით ზნდე-ბისა.

ღია წერილი "მწყემსი"-ს რედაქციის მიმართ.

თუმცა მას აქეთ, რაც ჩენი სამღვდლოება ვალდებული შეიქმნა ატაროს ვერცხლის მკერდის ჯვარი, მაგრამ მე ჯერ კიდევ, ჩემი სიღარიბისაგან, არ მომიპოვებია ესრეთი ჯვარი. ერთჯერ სხვა უცხო სოფელში შემხვდა წასულა მიცვალებულის გამოტი-რილზე და რადგან აღნიშნული ჯვარი არ მქონდა გულზე, როგორც სხვა მღვდლებსა, შენდობა არაიენ მიითხოვა ჩემგან, რადგან ყველას ღიაკონი ვეგონე,

ვინც პირადათ არ მიცნობდა. ეხლა კი, ^{მეცნობდა} გამიხდეს, მაინც უნდა ვიყილო ეს ჯვარი. მაგრამ, უმოპოვებლად ვთხოვთ, მ. რედაქტორო, განმიმარ-ტოთ შემდეგი: წარსულ ნოემბერში რომ სამღვდლე-ლოების დეპუტატების კრება იყო ქალ. ქუთაისში, ყველა მმ. დეპ. მღვდლებს, ოთხიოდეს გარდა, სულ სხვანაირი ძეწვეით ეკიდათ გულზე ხსენებული ჯვრები, სწორედ იმ ფორმის ძეწვეით, რომელიც ჯილდოთ ეძლევათ უწმ. სინოდისაგან. ნეტავ ვინ მისცათ ნება ამ სულიერ მამებს ესრეთი გადასხვა-ფერებული ძეწვეით ჯვრის ჩამოკიდებისა? ნუ თუ ხელა-ახალი უქაზი გამოვიდა ამ საგნის შესახებ? თუ ასე არის, მეც ხომ შემიძლია მოვიპოვო ასეთი ძე-წვეი ჯვრისათვის? აქვე უნდა აღნიშნო ისიც, რომ ქუთაისში ვინც შემხვდა ოქრომქედელი, ყველა მასე მითხრა: «ჯვარი რომ იყიდა, მღვდლო, უძეწვეოთ იყიდე, რადგან მათ ჩამოსაკიდ ძეწვეებს ეხლა ჩვენ ვაკეთებთ სულ სხვა ფორმისზე, რომელიც ძლიერ კარგი შნოიანი არის და ბევრად სჯობს რუსეთიდან მოტანილსო».

მღვ. ა. არ—ლი.

ძეწვეის ფორმა გამოცხადებულია უქაზით და ყველა ვალდებულია, რომ იმ ფორმის ძეწვეით დაი-კიდოს ეს ჯვრები და არა სხვა და სხვა გამოგონე-ბული ფორმის ძეწვეებით. ზოგიერთებს ძვირფასი ქვებითაც მოუქედიათ ეს ჯვრები და ისე დაუკიდიათ მკერდზე. ჩვენ, სულიერი მამები, ვალდებულნი ვართ, რომ ჯვრების მორთულობით და ძეწვეით კი არ უნდა ვცდილობდეთ გამოჩენას, არამედ კეთილი მწყემ-სობით, ცხოველი სარწმუნოებითა და ქრისტიანული სიყვარულობით მოყვასთადმი. ვისაც ეს ქრისტიანული თვისებანი აქვს, იმას უჯეროთაც იცნობენ, თუ ვინ არის იგი.

რედ.



მწახი ფიქცია

დიდი ხანი არ არის, რაც იუბილეის დღესასწაულობა, შემოღებულია ჩვენში. პირველ ხანებში სულ სხვანაირად უუერებდნენ ამ დღესასწაულობას, მაგრამ ბოლოს იუბილიანობის სურვილმა თავისი გაიტანა და, თითქმის, კანონად შემოიღეს 25 და 50 წლის იუბილეის დღესასწაულობა. იუბილეის დღესასწაობისა გამო საქველმოქმედო მიზნით ფულებიც ბევრი შეიკრება და სტიპენდიებიც დაარსდნენ და მთავრობამაც ნება დართო ამ კეთილი მიზნით იუბილეის დღესასწაულობას. კარგი დაკმაართოს, კარგია, როცა იუბილიარი რაიმე კეთილ საქმეს ჩადის და შეწირულებას იძლევა მადლობის ნიშნად ღვთის წინაშე, რომ დემოტმან მისცა მას 25 და 50 წლის დრო ცხოვრებისა. მაგრამ სწორეთ უბედურებაა, როცა კაცი თავის ოცდა ხუთი და 50 წლის მსახურებისთვის სხვისგან ითხოვს საქველმოქმედო მიზნისათვის შეწირულებას, სჩუქრებს და ქების ადრესებს. ვერ წარმოიდგენს კაცი, თუ რა გზით და მოხერხებით სდგებიან ეს ქების ადრესები და რა საშუალებით იკრიბება შეწირულებანი... სამწუხაროა მხოლოდ ის, რომ ამ დღესასწაულობით და ქებით ადრესებით შემდგომ დროში შემატანე ვერ შეადგენს ჩამდვილ აზრს, ვინ ეყო ღირსი ქებისა და დიდებისა, რადგან ერთი ევლიბით სრულდება ეს დღესასწაულობა და ქებით შესმანი გაწერეკვლად იუბილიართა მსახურებისა...

ესლა აღარ კანონებენ მარტო 25 და 50 წლის იუბილეის დღესასწაულობათა. ბევრი მსურველი აღმოჩნდნენ იუბილეის დღესასწაულობისა 29, 35, 40 და 41 წლისა სასწაულობისა.

სწორეთ განსაცარის ამისთანა იუბილეის დღესასწაულობის სურვილი ზოგიერთ პირთა...

მართლა საქმე გააჭირვა ბ. ი. გ. ჭავჭავაძის 41 წლის იუბილეის დღესასწაულობის გადადება. ერთი წელიწადი, რაც ერთი თვიდან მეორე თვეში გადაქცეს ამ იუბილეის დღესასწაულობის დღეობა და არ ვიცით, როდის ექნება დასასრული ამდენ გადადებას. მისი თხზულებებიც კი გააიფუნ ამ დღეობის გამო, მაგრამ არ გვატყობინებს წიგნების გამოძველები საზოგადოება, თუ რამდენი წიგნი გასაღდა ამ იუბილეის მოლოდინით და რამდენი დარჩა გაუსეიფელი!.. ზოგიერთები ამბობენ, რომ ვითომც მთავრობა ნებას არ იძლევა ი. გ. ჭ—ის დღესასწაულობაზეო, მაგრამ ეს ხმა მოკლებული უნდა იყოს ეოველ სიმართლეს. მთავრობა ნებას დართავს, როგორც ესთქვით, მარტო 25 და 50 წ. იუბილეის დღესასწაულობას და არა 41 წლისას და თუ გინდ 45 წლისასაც; თუ კი ასე კულით სურსთ ზოგიერთებს ეს იუბილეი, ვინ უმლისთ თავი მოეყარონ იუბილიარის თავგანის მცემელთა და პატრივი სცენ როგორც სურსთ. როდის მოითხოვეს ნება-რთვა ბ. რაფიელ ერისთავის იუბილეის დღესასწაულობაზე?.. მაგრამ თუ ვისმეს სურს, რომ მთავრობამ ნება დართოს ფულების შეკრებაზე იუბილეის დღესასწაულობისა გამო ამაზე არავის ნება არ მიეცემა და სწორეთ არც არავის უნდა მიეცეს. მთავრობამ იცის ალბათ ესლანდელი ფარისეველობით დამკვირვული საზოგადოების ზოგიერთი თავმოყვარე პირები და ისიც, თუ როგორი გზით იკრიბება ფულები სხვა-და-სხვა მისარ-



თმევი სჩუქარი ნივთების სასეიდლად და სხვა მიზნათ... საქელმოქედო მიზნით ფულის შეწირვას ვინ მოუშლის, თუ კი მსურველი არის ვინმე!..

* *

სიტუვამ მოიტანა და არ შეგვიძლია ორი-ოდე სიტუვა არა ვსთქვათ იუბილეის დღესასწაულობის გამო ჩვენში. ის ზირები, რომელთაც კითხვა აღძრეს ბ. ი. გ. კ.—ის 41 წლის იუბილეის დღესასწაულობაზე, ნეტავი რას ფიქრობენ სხვა ზირების იუბილეის დღესასწაულობის შესახებ? ნუ თუ სხვებს არ მსურს უბრალოდ 41 წელიწადი მათი მოღვაწეობის დაწევიდან? ზოგიერთები ლამის ხელიდან გუეცლებიან და არავენ არ ფიქრობს მათ იუბილეის დღესასწაულობაზე!.. დიად, ზურღვინოს და სადილეებს ბეჭი შეუძლია!.. მრავალს აბრძევენ და მრავალს თვალს უსხელს.

* *

მივიღეთ 1897 წლის ანგარიში «ქართულთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელის საზოგადოების» მოქმედებისა და გადავიკითხოთ. ამ ანგარიშის გადაკითხვის შემდეგ მკითხველში ერთად იბადება ორი გრძნობა, სიხარულისა და მწუხარებისა, მოგვაგვს ის ადგილი, რომელმაც ჩვენში მწარე ფიქრები აღძრა:

II საზოგადოების გამგეობა.

საზოგადოების და გამგეობის თავმჯდომარე თ. ი. გ. ჭავჭავაძე. თავმჯდომარის ამხანაგი ნ. ზ. ცხვედაძე.

წევრნი

- ქ. რ. ვაბაშვილისა
- ან. მ. წერეთლისა
- ი. ს. გოგებაშვილი
- ალ. მ. ჭყონია
- გ. ნ. იოსელიანი
- ე. ს. თაყაიშვილი
- ნ. ვ. მთვარელიშვილი
- ი. გ. რატიშვილი.
- პ. რ. ყიფიანი
- ალ. ალ. გარსევანაშვილი
- დ. გ. კარიკაშვილი.

ხაზინადარი—პ. რ. ყიფიანი, მდივანი—დ. გ. კარიკაშვილი.

წლის განმავლობაში გამგეობას ჰქონდა 37 სხდომა, განსახილველი იყო 346 საქმე, რომელთაგან 21 გადადებული იქმნა შემდეგის სხდომისათვის, დანარჩენი იმავე სხდომაზე იყვნენ გადაწყვეტილი, რომელზედაც მოხსენიდნენ.

თითო სხდომაზე ორთა შუა რიცხვით მოღის 9 საქმე.

გამგეობის წევრობის სხდომებზე დაესწრნენ:	
თავმჯდომარე თ. ი. გ. ჭავჭავაძე	2-ჯერ
თავმჯდ. ამხანაგი ნ. ზ. ცხვედაძე	28—
წევრნი: ი. გ. რატიშვილი	33—
ე. ს. თაყაიშვილი	28—
ნ. ვ. მთვარელიშვილი	23—
ალ. მ. ჭყონია	22—
გ. ნ. იოსელიანი	19—
ი. ს. გოგებაშვილი	18—
ან. მ. წერეთლისა	18—
ალ. ალ. გარსევანაშვილი	15—
ქ. რ. ვაბაშვილისა	9—
პ. რ. ყიფიანი	2—
დ. გ. კარიკაშვილი	37—
სულ ყველანი	253—


თითო სხდომაზე ორთა შუა რიცხვით მოღის 7 დასწრება.

სხდომებზე თავმჯდომარეობდნენ:	
თავმჯდომარე თ. ი. გ. ჭავჭავაძე	2-ჯერ
მისი ამხანაგი ნ. ზ. ცხვედაძე	26—
წევრნი: ალ. მ. ჭყონია	6—
გ. ნ. იოსელიანი	2—
ე. ს. თაყაიშვილი	1—



ჩვენს თვალს ან დაუჯერეთ პირველად, როცა წაგიკითხეთ: „გამგეობის სსდომებს თავმჯდომარე დასწრო ო რ ჯერ ო, მაგრამ ანგარიშით დაურწმუნდით, რომ მართლა ორჯერ მეტათ ან დასწრება ბ. ი. ვ. ჭავჭავაძე სსდომებს... რომ სსდომებს წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების გამგეობა მართავდეს დიდიდამ შუადღემდის, იფიქრებს კაცი, რომ ალბათ ბ. ჭ—ძე ან დასწრება მიტომ, რომ ან ეცალა ამ დროს, მაგრამ სსდომები იმართებოდა, თითქმის, სჯამობით, სწორეთ იმ დროს, როცა ჩვენს „ნატრიოტებს“ და „ქოლვაწებს“ ან სიმინათ და ან ბანქოს თამაშობენ...“

დიად, მართალი რომ ვთქვით, კრებებზე ნიდავ დასწრების მოთხოვაც ეველა წვერებისსაცან ან შეგვიძლია! ჯანბაგირს ან იღებენ და უჯანბაგირო თანამდებობაზე რად დაკარგავს კაცი დროს!?. სწორეთ გულითადი მადლობის დირსნი კი არიან ბ.ბ. რატომილი და თაუბიშვილი, რომ ასე ერთგულათ დასწრებიან სსდომებს . .



ასალი ამბები და შენიშენები.

ერთი კეთილი და პატიოსანი მოღვაწე მოაკლდა ქართველობას. ამ დღეებში უტყრად გარდაიცვალა თბილისში ჩვენი შესანიშნავი მხატვარი როინიშვილი. როგორც კეშმარიტი და შეგებული ქართველი, ის ყოველთვის მზად იყო დახმარება აღმოეჩინა ყოველი კეთილი საქმისათვის, როგორც ამბობენ, განსვენებულს თვისი მუხუმი და ქონება წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოებისათვის უანდერძებია. საუკუნოდ იყოს ხსენება შენი, კეთილო ქართველო და რიგიანო მამულიშვილო, რომელსაც ყოველთვის გახსოვდა საზოგადოება და მისი საქართვებანი.

* *

14 ამ თვეს ქუთაისში გარდაიცვალა შენდგზანგზღლივი ფოლტვების ავადმყოფობისა ქანი ვერა ჯადარბისა. განსვენებული პირველად მასწავლებლად იყო ქუთ. საკვირაო სკოლაში და ბოლოს ებარქიალურ საქალბო სასწავლებელში. არასოდეს მის მოსწავლეებს არ დაეწვედებათ განსვენებულის მშვენიერი სწავლება და კეთილი ქალობა. განსვენებული თავისი ოფლით ნაშოვნი ფულით მთელს ოჯახობას ინახავდა და კიდევ ამ გამუდმებული შრომით დაღუპა თავისი ჯანმრთელობა და ქლერქში ჩავარდა. საუკუნოდ იყოს შენი ხსენება, კეთილო ადამიანო!

* *

ამ ცოტა ხანში ჩვენ მოგვიხდა ქიათურაში მოგზაურობა. ქიათურაში 200000 მანეთამდე შეკრებულა შავი ქვის მწარმოებელთაგან სხვა და სხვა საკუროებისათვის. სხვათა შორის აქ დაუფარსებიათ საავადმყოფო და კარგა ბლომა ფული ინარჯება, მაგრამ საავადმყოფოს საქმე ღვთის ანაბარად ყოფილა გაშვებული. ექიმი კვირაში მარტო ერთხელ დახედავს საავადმყოფოსო და ფერშლები სჩადიან ექიმის მაგიერობასო...

* *

ვენიდან გვეყრენ, რომ იქ ერთმა ვილაცა ქალმა, რომელიც თბილისში მოგზაურობდა, ლექცია წიკითხა თავის მოგზაურობაზედო. ლექციაზე ხალხი ბევრი დასწრება. ამ ქალს ლექციაში ბევრი შემცდარი აზრი წარმოუთქვამს ჩვენი ქვეყნის შესახებ. საზოგადოებისათვის უთქვამს: „მე დანამდილეობით ვიცი ყველაფერი ამბავი, ამისათვის რომ კორრესპონდენტი ვარ ერთად ერთი საქართველოს შესანიშნავი განთვის „ცნობის-ფურცლისაო“. სწორედ ძლიერ კარგად შეუტყვია საქართველოს ვითარება, თუ მას ერთად ერთ ქართულ განვითარ „ცნობის-ფურცელი“ მიაჩნია!..“

* *

ოთხშაბათს, 29 აპრილს, ყოვლად-სამღვდელო ლენინის თავმჯდომარეობით კრება ჰქონდათ მსცესის ტაძრის განმახლებელ კომიტეტის წევრთ. თავმჯდომარის წინადადებისამებრ კრებამ დაადგინა: ვთხოვთ საქართველოს ექსპარხოს მალა-ყოვლად სამღვდელო ფლამიანეს, რომ კომიტეტს თავმჯდომარეობა თითონ იკისროს. კრებას მოჰხსენდა აგრეთვე, რომ კომიტეტის წევრებად მიღებულ იქნენ: დიდუბის ეკლესიის წინამძღვარი მ. კ. ცინცაძე და ბ.ნი მ. ი. ნატროშვილი. კრებამ ერთხმად მიიღო ეს



წინადადება. ამის შემდეგ ლაპარაკი აღიძრა ტაძრის განსახლებლად შემოწირულებათა შეკრების საქმის გაწეს-რიგების შესახებ, რადგან შემოწირულებათა შეკრება უკვე უმაღლესად ნება-დართულია, კრებულზე გამოირკვა: ა) მეტათ სამწუხარო ყოფა-მდგომარეობა ამ სოფილისა და ბ) ის, რომ შემოწირულება მაგრე რიგად არ შემისულაო-სულ მოგროვდა 9,000 მან. და ტაძრის განახლებას-კი დასჭირდება 200,000 მან. კომიტეტმა დაადგინა: ა) იზრუნოს მცხეთის ტაძრის საისტორიო საარქეოლოგო აღწერისა, ტაძრის კარგად გადაღებულის სურათისა და ტაძრის განსახლებლად მოწოდების დაგზავნის შესახებ. ტაძრის აღწერა მიენდოს კომიტეტის წევრს ბ-ნს ნატროვილს, მოწოდების შედგენამ მღ. კ. ცინცაძეს და სურათის გადაღება-ფოტოგრაფის ბ-ნს როინაშვილს; ბ) ყველა ამ საგნების დაზიდების შემდეგ შემოწირულებათა შესაკრებად რუსეთში გაიგზავნოს მღ., კ. ცინცაძე და ყარსის ოლქის ბლაღოჩინ-მღვდელი მ. კობარი, რომელთაც უნდა გადაეცეთ შუამდგომლობანი პეტერბურგისა, კიევისა და მოსკოვის მიტროპოლიტებისა და სხვა მაღალ წოდების კაცთა წინაშე შესაფერ დახმარების აღმოსაჩენად შემოწირულებათა შეკრების საქმეში. აღგილობრივ ამიერ-კავკასიაში შემოწირულებათა შეკრება მიენდოს მღვდელ-მონაზონს მ. გერსინებს და სხვათ, რომელთაც დასახმარებლად მიჰმართავს კომიტეტი.

აღიძრა აგრეთვე ლაპარაკი იმის შესახებ, თუ რა საშუალება უნდა იქმნას ხმარებული ტაძრის განახლების დროს, რომ ტაძრის პირვანდელი სახე იქმნას დაკულოი და კომიტეტმა დაადგინა, ამ აზრის განსახორციელებლად საჭიროა მიემართათ იმ ხუროთ-მოძღვართ არქეოლოგთ, რომელნიც იცნობენ და შესწავლილი აქვთ ეს ტაძარი, სახელდობრ, მაგალითად, პროფესორს კონდაკოვს, თავ. ტრუბეცკოის და საარქეოლოგო საზოგადოების თავმჯდომარეს გრ. უვაროვისას და სთხოვენ მათ ამ საქმეში დახმარება.

განხსნალება.

ქართლ სასამთავროს აპოზულატორიითურთ

ს. ბ. თოფურიანსი

ქ. ქუთაისში.

საავთმყოფოში დგას ო რ მ ო ც ი საწოლი ხირურგიულ, გინეკოლოგიურ და შინაგან სენით ავთმყოფთათვის. მუწუქებიანი და ვადამდები სენით ავთმყოფნი არ მიიღებიან, მოსიარულე ავთმყოფნი მიიღებიან ყოველ დღე 11 საათიდან შუადღის 3 საათამდე.

შინაგან და ნერვებით ავთმყოფებს მიიღებს
მქ. ს. ბ. თოფურიანი.

ხირურგულ, შარდით და სიფილისით
მქ. ფ. ა. ზარბაძი.

დედაკაცურ ავთმყოფთა და საბებიოს ქალი-
მქ. მ. ფ. კახანი.

თვალეების ავთმყოფისათვის
მქ. ი. ა. შარვაშიძე.

რჩევა დარეების ფსი 50 კ., კონსილიუმის ფსი 3 მ. დღე და ღამე ქნრა საავთმყოფოში სრული ხარჯით და ექიმობით 2—3 მანეთამდე. აპერაციის ფსი გარეკებასზე.

სამკურნალოს დირექტორი ს. ბ. თოფურიანი.

შ ი ნ ა ა რ ს ი:

სალიტერატურო განყოფილება: მღვდლის სამსახურის სიმწლე წმ. იოანე ოჭოპირის სიტყვით.—ვინ და რა სარწმუნოების არიან აისორები.—ქ. ყაზანი და სასულიერო კონცერტის გამო.—საისტორიო მასალა: საქართველოს ძველი დროის თავ-გადასავალი.—ლია წერელი „მწყემსის“ რედაქციის მიმართ.—მწარე ფიქრები.—ახალი ამბები და შენიშ.

რედაქტორ-გამომცემელი დეკ. ზ. ლაზაშვიდ.

Редакторъ-Издатель П. Д. Гамбашидзе.

Дозволено цензурою, Тифлиси, 14 мая 1898 г. ♦ Цензоръ прот. Е. Елиевъ.

Типог. редакція журн. „Пастыръ“ (И. Д. Гамбашидзе) въ Кутаисъ, въ д. бр. Ханановыхъ, на Нъмецкой у.